№ 27

კვირა, 5 თებერვალი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 27

კვირა, 5 თებერვალი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 27.

## ვ პ ი ს რ [illegible] ლ ო ზ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ვქობულაშვილისა, 17.

(15—3)

ბ-ნი **ა. ე. ნებიერიძე**
გაჰმართავს ქართულს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქმნება:

I

ახალი პიესა

## ძველი და ახალი თაობა

კომ. 3 მოქმ. ა. ნ—ძისა-

II

## ცდა ბედის მონახევრეა

ვოდ. 1 მოქმ.

III

## ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნებიერიძისა, კანდელაკისა და სხ. ბ-ნნი ნებიერიძე, დ. მესხი, ბალანჩივაძე, ქუჯი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

---

წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-ისა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბრონსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

(3—6—2)

---

ქართული თეატრი ქუთაისში.

კვირას, 5 თებერვალს, ხარაზოვისეულს თეატრში

---

ქართული თეატრი.

კვირას, 5 თებერვალს, 1895 წ.

„ქართული წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ. საფაროვისა, ავალიშვილისა და ბ-ნ აბაშიძისა და ალექსეევ-მესხიევის მონაწილეობით საზოგადოების თხოვნით

I

## უბრალოდ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარ. მაჭავარიანისა.

II

## გულმა იგრძნო

ვოდევილი 1 მოქმედ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: ალექსეევ-მესხიევი, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ორი დარაჯი“ დრამა 3 მოქმედ. და „მუშაკი და ნებიერი“ დრ. 4 მოქ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

(2—2)

---

შაბათს, 11 თებერვალს, 1895 წ.

„ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის დასის“ მიერ წარმოდგენილ იქმნება მეორედ ამ სეზონში

## სამშობლო

დრ. 5 მოქმ. თ. დ. ერისთავისა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

მონაწილეობას ღებულობენ ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტნი ქალნი და კაცნი. დაწვრილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული.

---

**სამუსიკო კრუჟოკი**

შაბათს, 11-ს თებერვალს, გამართული იქნება

## კოსტუმებიანი საღამო

ცხოველის სურათებითა და კოტილიონით. ჯილდოები (ოქროს და ვერცხლის ნიშნები) მიეცემათ იმათ, რომელთაც უფრო საუკეთესო, თავისებური, ორიგინალი ტანისამოსი ეცმევათ.

ტანისამოსი უნდა ეცვათ: სამხედრო წოდებისათ მათთვის დადგენილი, სამოქალაქო წოდებისათ—შავი, მოცეკვავეთ—ფრაკი.

საღამოზედ მისულ ქალებს გარდახდებათ 1 მან. 10 კაპ., კაცებს—2 მან. 10 კაპ. ბ-ნთ კრუჟოკის წევრთ, იმათ კანდიდატებსა და სახლობათ ამ ფასიდგან 50% დაეთმობათ.

დასაწყისი 9 საათზედ.

(1—937—1)

---

ტფილისი, 5 თებერვალი

—

სამიწათ მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წესდებულების ძალით მინისტრს ნება აქვს დრო გამოშვებით მიიწვიოს სამინისტროში დაარსებულ „სამეურნეო საბჭო“ კრებაზედ ერობის წარმომადგენელი, სამეურნეო საზოგადოებათა წევრნი და საზოგადოთ ისინი, რომელთა მიწვევას მინისტრი საჭიროდ დაინახავს. ამ სამეურნეო საბჭოს მინდობილი აქვს განხილვა იმ წინადადებათა და პროექტთა, რომელიც შეუმუშავებია სამინისტროს და რომელთა შემუშავებას საჭიროდ ჩასთვლის.

გასულს თვეს პეტერბურგში იყო ამ საბჭოს პირველი კრება და მათ ბევრი საგულისხმიერო საგნები გამოიკვლიეს, ბევრ სამეურნეო საჭიროებათა შესახებ აღძრეს ბაასი და სხვა და-სხვა დადგენილება მოახდინეს. ჯერ პეტერბურგის გაზეთებში არ არის დასრულებული ამ კრებათა ანგარიში და ამიტომ მათგან განხილულ საგნების გამობაასი, ჩვენც შემდეგისათვის გადავდვათ. ახლა-კი მხოლოდ ჩვენის ქვეყნისათვის ერთს საყურადღებო გარემოებას შევეხოთ.

უწინდელს სამინისტროს ცენტრალურ ორგანოთა გარდა თავ-თავისი ადგილობრივი დაწესებულე-

---

# ფელეტონი

***

კითხვა.

სულ ცრემლი, ოხვრა, ნაღველი
დამწუხლულებელი გულისა...
ნეტავ, ვიცოდე—სადა ჰსჩქეფს
ნაკადი სიხარულისა?

—

სულ რბევა, უსამართლობა,
დაულეველი მონება...
სად დასძლევს მადლი ბოროტსა—
რისთვის არ გვეტყვის გონება?

—

სულ შური, განხეთქილება,
სულ გმინვა დაჩაგრულისა...
სადღაა საურთიერთო
გალობა სიყვარულისა?

—

მიგება.

ოხვრასა, ცრემლსა, ნაღველში
ძლევით იმოსვის გულია,
დაჰკრავს წამების კლდეს, შესტეხს,
იქ მოჰსჩქეფს სიხარულია!..

—

უსამართლობა სულს ჰრკინავს,
სტიქიონს ჰბადებს მონება,
დალეწავს ბორკილს—ბოროტი
მადლს მაშინ დაემონება!..

—

ურთიერთობა ვარდს ჰკოკრავს,
უცინის შთამომავლობას
და დროთა ჩანგი უკვდავსა
ავრცელებს ხალხში გალობას!..

გრ. აბაშიძე.

---

### ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

სად გაჩნდა პირველად აბრეშუმის სხვა-და-სხვა სენი.—რა დახმარება გაუწია მეაბრეშუმეობას საფრანგეთის მთავრობამ სენის საწინაამდეგოდ.—პასტერისაგან ნაჩვენები საშუალება ამ სენის წინაამდეგ.—სად მოიდგა პასტერის მეთოდმა პირველად ფეხი.—საფრანგეთის მეთესლე (гренеръ), იმათი დედა აზრი და თესლის დამზადების ცოდნა.—ცელულიალური ანუ საღი (целлюлярная) და საბაზრო (промышленная) თესლი.—აბრეშუმეობის წარმატება ავსტრო-უნგრეთსა, იტალიასა და საფრანგეთში.—რა მნიშვნელობა ჰქონდა წინად მეაბრეშუმეობას ჩვენს ქვეყანაში.—რა საშუალება იხმარა რუსეთის მთავრობამ ჩვენს სამშობლოში მეაბრეშუმეობის აღსადგენად და გასაძლიერებლად.—ტფილისის საბრეშუმო სადგური და იმისი ლექციები.—სოფლის მასწავლებლები და იმათი ლექციებზედ დასწრება, იმათივე გულ-გრილობა.—ბახვის და ნიგოითის მასწავლებლები და იმათი მოღვაწეობა.—რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს სოფლის საზოგადოებას მასწავლებელმა.—მეაბრეშუმეობის საყურადღებოდ.—უცხო ქვეყნელნი აბრეშუმის თესლის გამყიდველნი და იმათის თესლის თვისება და სხ.

ამ ორმოცის წლის წინად დასავლეთს ევროპაში საშინელმა პებრინმა დიდი ზარალი მოუტანა აბრეშუმეობას. იქაურმა მეაბრეშუმეებმა რომ დაინახეს თავისი კრიტიკული მდგომარეობა, სხვა-და სხვა ქვეყნებს მიჰმართეს, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ავადმყოფობა და დაიწყეს იმ ქვეყნებიდგან საღი თესლის მოტანა, მაგრამ არ გასულა რამდენიმე წელიწადი, რომ ეს ავადმყოფობა სხვა ქვეყნებსაც მოედო. იმ დროს უცხოელებმა იცოდნენ, რომ ჩვენი ქვეყანა განთქმული იყო აბრეშუმის მოსავლით და დაიწყეს ჩვენთან მიმოსვლა აბრეშუმის თესლის შესაძენად. ბოლოს ამ მიმოსვლასა და აღებ-მიცემობას ის სამწუხარო შედეგი მოჰყვა, რომ იმ შეუბრალებელმა სენმა ჩვენს აბრეშუმეობასაც ის დღე დააყენა, რაც უცხო ქვეყნებში. მას აქეთ ჩვენს მეაბრეშუმეობის კეთილ-დღეობას ძირს უთხრის სხვა-და-სხვა გადამდები სენი და ძლიერ შესამჩნევადაც აქვეითებს. საფრანგეთში ჩვეულებრივ მთავრობა და საზოგადოება მხნედ და გულმოდგინედ შეუდგა იმ აზრის განხორციელებას, რომ რაიმე საშუალება ეპოვნა და დაცემული აბრეშუმეობა ფეხზედ წამოეყენებინა. იმათი ზრუნვა და შრომა კეთილად დაბოლოვდა: ხუთის წლის განუწყვეტელის შრომისა და ცდის შემდეგ შესანიშნავმა მეცნიერმა პასტერმა იპოვნა საშუალება ამ სენის წინაამდეგ. პასტერმა გამოიკვლია, თუ რომელი მიკრო-ორგანიზმთაგანია (პაწაწინა სხეულთაგანია) ამა თუ იმ ავადმყოფობის მომავლინებელი; შეისწავლა იმათი გარეგანი თვისება, რომლის ძალითაც ადვილად შეიძლება ერთის მეორესაგან გარჩევა. შემდეგ განმარტა, რომ სრულებით განთავისუფლება ამ სენისაგან (პებრინიდგან) შეუძლებელია, ხოლო მის მიერ გამორკვეულის საშუალებით მეაბრეშუმეს შეუძლიან სენს წინაამდეგობა გაუწიოს და ააშოროს იგი აბრეშუმის ჭიას, თუ მისგან ნაჩვენებს ყველა აუცილებელ პირობებს ზურგს არ შეაქცევს და მისის მეთოდით მიკროსკოპით დაამზადებს თესლს და სხვა-და-სხვა...

იმ დროს საფრანგეთში პასტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მისმა მეტოქეებმა, რომელნიც ამტკიცებდნენ პასტერის მიერ გამორკვეულ მეთოდის უვარგისობას, რის გამოც ამ მეთოდს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მიეცა. იტალიაში-კი ამ კეთილმა საქმემ ერთობ ადრე მოიდგა ფეხი: პასტერის ნაცნობმა, ინჟენერმა სუზანამ დაამზადა პასტერის მეთოდით თესლი და პირველად შემოიღო პარკუჭანების (мѣшечки) ხმარება *), რისთვისაც ამნაირად დამზადებულს თესლს დაერქვა ცელულიალური (целлюлярная грена) თესლი cellula ლათინურად ნასვრეტებიანი.

შემდეგ იტალიის მეაბრეშუმეებმა დაიწყეს საღის თესლის დამზადება და საქმე ისე კარგად წაიყვანეს, რომ მალე გამდიდრდნენ, ისე რომ მანეთზედ სამს მანეთს იგებდნენ (300%). ეს რომ ფრანგებმა დაინახეს, დიდად შესწუხდნენ,—როგორ დაგვემართა, რომ ჩვენის მეცნიერის მიერ გამოგონილის საშუალებით-ჩვენზედ უწინ სხვამ ისარგებლაო... მიატოვეს თავისი ხელობა და შეუდგენ თესლის მომზადებას. ამ საქმეს იმათ დედა აზრად დაუდეს თავიანთის დაცალიერებულის ჯიბის გატენა. უმეტესი მათგანი უვიცი იყო. არ იცოდა მიკროსკოპის ხმარება და თესლს ძველებურადვე ამზადებდა. ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთს გარემოებას სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა. საფრანგეთის მეთესლეებს ჩალის ფასად უჯდებოდათ თესლის დამზადება და, რასაკვირველია, იტალიის მეაბრეშუმეს არ შეეძლო იმათთვის კონკურენცია გაეწია, რადგანაც ამ უკანასკნელებს პასტერის მეთოდით მომზადება შედარებით უფრო ძვირად უჯდებოდათ ვიდრე ფრანგებს.

ამის გამო იტალიის მეაბრეშუმეთა რიცხვი, როგორც ზემოთა ვსთქვით, თან-და-თან მცირდებოდა და საფრანგეთის მეთესლეებს დაჰრჩათ ბურთი და მოედანი. აქ მზადდებოდა ორნაირი თესლი—საბაზრო (промышлен.) და

*) წყვილს დედალ-მამალ პეპელებს ცალ-ცალკე ბლონდის ნაჭერზედ პარკუჭანებს მიაყრევინებენ თესლს პასტერის მეთოდით.

ავტ.

ბაებიცა აქვს. ამ ადგილობრივ დაწესებულებათა არსებობა, დიდ საჭიროებად ითვლება, რადგანაც მარტო ცენტრალურ ორგანოებს არ შეუძლიანთ სავსებით შეასრულონ თავისი მოვალეობა და დანიშნულება. ადგილობრივ დაწესებულებათ მინდობილი აქვს სისრულეში მოყვანა იმ კანონებისა და საშუალებათა, რომელთაც სამინისტრო შეიმუშავებს, თვალ-ყურის დევნება, რომ ეს კანონები დაცულ-იქმნას, შეგროვება სამინისტროსთვის საჭირო მასალათა, შემუშავება საჭირო წინადადებათა სამინისტროსათვის წარსადგენად და ბევრი სხვა წვრილმანი საქმეც. მაშასადამე ცხადია, რა მძიმე მოვალეობა აწევს ამ ადგილობრივ დაწესებულებათ და როგორი დიდი მნიშვნელობა აქვთ სამინისტროს საერთო წესდებულებაში.

სამიწათ-მოქმედო სამინისტრო მხოლოდ შარშან იქმნა დაარსებული რუსეთში და მას ჯერ-ჯერობით არა აქვს თავისი ადგილობრივი დაწესებულებანი. ახლო მომავალში უთუოდ შემუშავდება ამ ორგანოთა წესდებულება. ეჭვი არ არის, რომ რუსეთის შიდა გუბერნიებში ამ ახალის სამინისტროს უმთავრეს ადგილობრივ ორგანოდ ერობა გახდება, რადგანაც ერობის პროგრამაში სამეურნეო საგნებს უპირველესი ადგილი უჭირავს. ამიტომ ადგილობრივის ორგანოს დანიშნულებას ერობაზე უკეთესად სხვა დაწესებულება ვერ შეასრულებს. როგორც ვხედავთ, რუსეთის შიდა გუბერნიებში ამ მხრით საქმე რიგიანად მოეწყობა. მაგრამ, როგორ იქნება საქმე რუსეთის იმპერიის იმ ადგილებში, სადაც ერობა არ არსებობს?!. ჩვენ გვეგონა, რომ ამის შესახებ ზემოხსენებულს სამეურნეო საბჭოს კრებებზედ აღიძრებოდა ბაასი, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ამ საგნის გამო კრინტიც არ დაძრულა.

როგორც ვიცით, ერობა არ არსებობს რუსეთის ზოგიერთ განაპირა გუბერნიებში, პოლონელთა და ოსტზეის მხარეში, კავკასიაში, ციმბირში, რუსეთის შუა აზიაში და კასპიის პირ-იქით მხარეში. ამ ვეებერთელა მანძილზედ, რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ, ოც-და-ათი მილიონი მცხოვრები მაინც არის; უმეტესი ნაწილი ამ მილიონებისა მიწის მუშაობას მისდევს და მათს სამეურნეო ვითარებას არა ნაკლები გაჭირვება ადგია, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში მცხოვრებთა. ეჭვს გარეშეა, რომ ახალი სამინისტრო მარტო რუსებისათვის არ არის დაარსებული და ამიტომ იგი უთუოდ გამოიკვლევს—როგორი ხასიათის ადგილობრივი ორგანოები უნდა დაარსდეს იმ ქვეყნებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული. ჩვენში ერობის მაგიერობას ასრულებს საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაცია; მაგრამ ახლა ყველასათვის ცხადია, რომელს მხარეზეა უპირატესობა; ადმინისტრაციას თავისი განსაკუთრებული ხასიათიცა აქვს და მოვალეობათა ასპარეზიც მტკიცედ განსაზღვრული უნდა ჰქონდეს. თუ სამიწათ-მოქმედო სამინისტროს ადგილობრივ დაწესებულებათა როლი ამავე ადმინისტრაციას მიუთვისეს, ცხადია ის ვერ აუვა ამოდენ ვალდებულებას და თავისს ამ მხრივ მოქმედებას აღბეჭდავს ჩვეულებრივის ფორმალიზმით. რასაკვირველია, ამ რიგად მოწყობილს საქმეს არ შეუძლიან თვალსაჩინო შეღავათი აღმოუჩინოს ჩვენს მეურნეობას და ცხადია, რომ ახლად დაარსებულს სამინისტროს თითქმის არავითარი ადგილი არ ექნება ჩვენის მიწათ-მოქმედის ცხოვრება-ვითარებაში.

რომ სამინისტრო იკისრებდეს და დააარსებდეს სხვაზედ დამოუკიდებელს ადგილობრივს ორგანოებს, ჩვენის აზრით, სულ სხვა რიგად წავა საქმე. საუმჯობესოა შემოღებულ-იქმნას საგუბერნიო და სამაზრო სამეურნეო საბჭონი, რომლებშიაც წევრებათ იქმნებიან გლეხთა და თავად აზნაურთაგან ამორჩეულნი წარმომადგენელნი და აგრეთვე ადმინისტრაციის მიერ დანიშნულნი მოხელეები. ამგვარ საბჭოებს შეუძლიანთ ნამდვილი სამსახური გაუწიონ ქვეყანას და საუკეთესო ადგილობრივ დაწესებულებათ გახდნენ.

ჩვენის ქვეყნისთვის მეტად საყურადღებოა, როგორ დასრულდება ამ საქმის მოწყობა და ამიტომ საჭიროა ამის შესახებ ბაასი აღიძრას იმ დაწესებულებებში, რომელთაც უფლება აქვთ უმაღლეს მთავრობის წინაშე სხვა-და-სხვა წინადადებისა და შუამდგომლობის წარდგენისა. სხვათა შორის, ჩვენ დავასახელებთ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომელმაც წმიდა მოვალეობად უნდა ჩასთვალოს ამ საგნის საფუძვლიანად განხილვა და თავისის აზრის წარდგენა სამინისტროს წინაშე.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 5 თებერვალს, დანიშნულია საზოგადო კრება ლისინის ახალ-შენის „ვარვარინოს“ მეაგარაკეთა. კრებას საზოგადოდ ახალ-შენის კეთილ-მოწყობის შესახებ ექმნება სჯა-ბაასი.

*** ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო დეპეშა გაზეთ „ნოვოსტისა“ რომლითაც იგი გვატყობინებდა, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წარუდგინა მთავრობას პროექტი, რომლის ძალითაც საჭიროდ საცნობს ძველთა ენების სწავლების მოსპობას პირველს ოთხს კლასში. „ნოვ. ობოზრ.“ ს ნამდვილ წყაროებიდგან გაუგია, რომ თუმცა მართალია კავკასიის ოლქის მზრუნველს წარუდგენია პროექტი, მაგრამ ზემო აღნიშნულ ენათა სრულიად მოსპობას კი არა სთვლის საჭიროდ ბნი იანოვსკი, არამედ მხოლოდ მათის სწავლების გაუმჯობესობას.

*** დღეს, 5 თებერვალს, ქართულს თეატრში მეორედ იქმნება წარმოდგენილი ამ სეზონში „უდანაშაულოდ დასჯილნი“ დრ. ზუდერმანისა, თარგმანი ვ. მაჭავარიანისა.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყება, რუსეთის ზოგიერთს რკინის გზებზედ კ. ფონის სისტემის სარკინისგზო ველოსიპედები უნდა შემოიღონ. ეს ველოსიპედები დანიშნულია დაგვიანებულ ან უკან ჩამორჩენილ მგზავრთათვის. აგრეთვე თუ რამე უბედურება მოხდება, უფრო მალე მიეშველებიან.

*** ახალ-სენაკი: ხუთშაბათს, 2 თებერვალს, ახალ-სენაკის სამოქალაქო სკოლაში გამართული იყო საცეკვაო საღამო. საზოგადოება ბლომად დაესწრო და საღამომაც მხიარულად ჩაიარა. ჩვენი „დამები“ და იმათი ეგრედ წოდებული «კავალერები», რაც შეიძლებოდა ცდილობდნენ დამსწრე საზოგადოება ესიამოვნებინათ თავიანთის მოხდენილის ცეკვა-თამაშით. დროს გატარებამ ნაშუაღამემდის გაგრძელდა ამ საღამოს შემოსავალი, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, გამგეს სურვილისამებრ ზოგიერთს საქველ-მოქმედო საქმეს მოხმარდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატივცემული მოთავე ამ საქმისა ერთს წილს მაინც გადასდებს „ახალ-სენაკის წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს“ სასარგებლოდ, რომელიც ჩვენის უთაოობის მიზეზით დიდი ხანია საიქიოს განისვენებს. სასურველია, ამგვარის მიმართულებით ისევ გაცოცხლდეს ეს წიგნთ-საცავი და სამკითხველო, რომელიც არამც თუ მარტო ახალ-სენაკისათვის იყო დაარსებული, არამედ მთელის სამეგრელოსთვის რომლიდგანაც ყველას ნება ჰქონდა წიგნები წაეღო. ვიმეორებთ, ახალ-სენაკში ფრიად საჭიროა სამკითხველოს დაარსება მით უმეტეს, რომ აქ სამი სასწავლებელია და მოსწავლეთა რიცხვი 700 აღემატება.

*** სოფ. სეფიეთი, (სენაკის მაზრა): 6 იანვარს, სოფელს სეფიეთში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ღამის თორმეტი საათი იქმნებოდა, რომ აქაურის მცხოვრებლის აზ. თ. სამზარეულოს ცეცხლი გაუჩნდა. საუბედუროდ, რადგანაც ამ დროს ყველას ეძინა და სახლიც ისლით იყო დახურული, ცეცხლი ისე მსწრაფლად მოსდებოდა სახლს, რომ კინაღამ შიგ მძინარე მოჯამაგირეც გაძლიერებული ცეცხლის მსხვერპლი არ შეიქმნა. ცეცხლის გაჩენის ამბავი პატრონზედ უწინ მეზობლებმა გაიგეს და წივილ-კივილით მისცვივდნენ, მაგრამ ვერა უშველეს-რა. მძინარე მოჯამაგირე გამოიყვანეს და სახლის სახურავი ჩამოინგრა. დაიწვა ორი ძროხა, ორი ხბო, ცალუღელი ხარი და ერთი ცხენი. მეორე დღემდე მთელი სოფელი დიდიდგან პატარამდე ფეხზედ იდგა, რომ ცეცხლი სხვა შენობებზედ არ გადასულიყო. ზარალი, როგორც ამ-

---

საღი: (целлюлярная)—საღი თესლი იქვე სიღდებოდა, ხოლო საბაზრო სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ და იქ საღის თესლის მაგიერად ჰყიდდნენ. თესლის ყუთებზედ აწერდნენ: ცელულიალური (საღი) თესლი პასტერის მეთოდით დამზადებული. ასე შემოყიდა ჩვენშიაც საბაზრო თესლი, რომელსაც სხვა-და-სხვა სენი შემოჰყვა და მთელს მხარეს მოეფინა.

ამ დროს რუსეთის მთავრობა ყურსაც არ იბერტყავდა, შორიდგან უმზერდა სამს წარჩინებულს სახელმწიფოს ავსტრო-უნგრეთს, იტალიასა და საფრანგეთს, სადაც გულმოდგინედ აარსებდნენ საბრეშუმო სადგურებს თავიანთის განყოფილებით, სკოლებს, სადაც აბრეშუმეობას უპირველესი ადგილი ჰქონდა დათმობილი და ყოველგვარს შეღავათს აძლევდა მეაბრეშუმეებს და აბრეშუმის საქსოვ-ამომხვეველ ქარხნების პატრონებს, რათა მეაბრეშუმეობა სასურველს ნიადაგზედ დაემყარებინა.

ამ უკანასკნელს ხანებში-კი, მთავრობისათვის თვალსაჩინოდ შეიქნა ის, თუ რა სამწუხარო შედეგი იქონია აბრეშუმობის დაქვეითებამ საბრეშუმო რაიონებში მცხოვრებლებზედ. ცხადად მიჰხვდნენ, რომ უწინდელ გლეხის მეაბრეშუმე ქალებს ორის თვის განმავლობაში საოჯახო საქმის კეთების დროს იმდენი აბრეშუმი მოჰყავდათ, რომ იმისის ფასით მთელს ჯალაბობასაც ჰმოსავდნენ, მტერ-მოყვარესთანაც პირ-ნათლად გამოდიოდნენ და სახელმწიფო ბეგარასაც თავის დროზედ იხდიდნენ.

ზოგიერთს ადგილას სრულიად მეაბრეშუმეობაზედ იყო დამყარებული მკვიდრთა კეთილდღეობა. აბრეშუმიდგან აკეთებდნენ მრავალს სხვა-და-სხვა გვარს აბრეშუმეულობის ჯეჯიმებსა, დარაიებს. პარკებს ჰყიდდნენ ქარხნებში, სადაც ზამთარში ხშირად თითონვე მუშაობდნენ, თუთის ნაყოფიდგან (ბჟოლის კაკალი) ჰხდიდნენ არაყს და თითოეულს მათგანს ამ ნაწარმოებიდგან შეძენილის ფულით შეეძლო რიგიანად გასძღოლოდა ოჯახს და სინდისიანად აღესრულებინა სახელმწიფო და სასოფლო ვალდებულება. ეხლა, როდესაც ჩვენს სამშობლოს შეუბრალებელი სენი პებრინა ეწვია და აბრეშუმეობის კეთილდღეობას ძირი გამოუთხარა, მეაბრეშუმე გლეხის ეკონომიური მდგომარეობა შესამჩნევად დაქვეითდა; ამას კიდევ მიემატა სახნავ-სათესის მიწის ძალ-ღონის გამოლევა, ჰაერის გამოცვლა, ხშირი გვალვა, უდროო დროს წვიმა, ვაზის ავადმყოფობა—ფილოქსერა და ამ უკანასკნელმა ხომ ბოლო მოუღო მევენახეობის კეთილ-დღეობას იმერეთში და მოაკლო ცხოვრების ბრძოლის უკანასკნელს საღსარს საწყალი გლეხი. ყველა ზემოხსენებულმა გარემოებამ გამოიწვია მთავრობის ყურადღება, რომელმაც განიზრახა, დაცემულს მეაბრეშუმეობას დახმარება გაუწიოს.

ამ უკანასკნელს წლებში სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო მხნედ შეუდგა ამ აზრის განხორციელებას: გაგზავნა სპეციალისტები საბრეშუმო რაიონებში, კავკასიაში და სამხრეთს რუსეთში, სადაც უნდა შეესწავლათ ადგილობრივ აბრეშუმეობის საჭიროება, შემდეგ ზოგიერთი მათგანი გაგზავნილ-იქმნა იმ ქვეყნებში, სადაც აბრეშუმეობა დიდს წარმატებაში იყო: ავსტრი-უნგრეთში, იტალიაში და საფრანგეთში, რომელთაც დავალებული ჰქონდათ შეესწავლათ იმ ქვეყნის აბრეშუმეობა და სახელმწიფო აბრეშუმეობის დაწესებულების წეს-წყობილება. როდესაც ეს გაგზავნილი კაცები დაბრუნდნენ, სამინისტროს წარუდგინეს პროექტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებას უნდა მიჰმართოს მთავრობამ, რომ დაცემული აბრეშუმეობა აღადგინოს და გაავრცელოს. ამ დროიდგან იწყება მთავრობისაგან მიღებული ახალი საშუალება: პირველად დაარსდა აბრეშუმის შემუშავების კომიტეტები, შესდგა მეაბრეშუმეების საზოგადოება და დაარსდა ტფილისში საბრეშუმო სადგური, რომელსაც დავალებული აქვს ყოველივე დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეებს აბრეშუმობის წარმატებისათვის და გაამრავლოს*) ისეთი მცოდნე კაცები, რომელთაც შეეძლოთ ცელულიალურის თესლის დამზადება. ამიტომაც სადგური ყოველ-ზაფხულობით ჰმართავს სახალხო ლექციებს. ლექციებზედ ყველა მსურველს შეუძლიან რიგიანად შეისწავლოს ორის თვის განმავლობაში მეაბრეშუმეობა (აბრეშუმის მოყვანა და თესლის დამზადება), თუთის (ბჟოლი) მოშენება და მეფუტკრეობა **). პრაქტიკულ მეცადინეობა იწყება საზოგადოდ 15 აპრილიდგან ***) ოქტომბრის ოცამდე-და თეორიულად-კი იმის მიხედვით, თუ როდის ექმნებათ დრო ლექციების მოსმენისა სოფლის მასწავლებლებსა და სხვათ. სამწუხაროდ ამ ლექციებით, ხუთის წლის განმავლობაში ათმა თუ ხუთმეტმა კაცმა ისარგებლა, რომელთა შორის $^3/_4$ სასოფლო სკოლების დირექციისაგან იყო გამოგზავნილი და ეს ისეთი მცირე პროცენტია ჩვენის სოფლის ინტელიგენტთა რიცხვისა, რომ ჩვენის აზრით ამაზედ ბაასი არა ჰღირს. ჩვენ აქ არ შევეხებით იმ მიზეზის გამორკვევას, თუ რა აიძულებს ჩვენს ინტელიგენტს, რომ საბრეშუმო სადგურის ლექციებს ზურგს აქცევს, რადგანაც იგი არ არის ჩვენის წერილის საგანი. ხოლო რაც შეეხება სოფლის მასწავლებელთ და მათ მიერ აღიარებულს მიზეზს, რომ დირექცია საშუალებას არ გვაძლევს და არა გვგზავნის ლექციებზედაო, ეს მიზეზი, ჩვენის აზრით, შესაწყნარებელი არ არის—ერთის მხრით იმიტომ, რომ დირექცია ამ უკანასკნელს ხანში სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დახმარებას არ უწევს ისეთს მასწავლებელს, რომელმაც წინად არ მიიქცია იმისი ყურადღება—აბრეშუმის მოყვანით, ფუტკრის მოშენებით და სხვა რითიმე..

მეორე მხრით, არც ის მასწავლებელია მოკლებული საშუალებას, რომელსაც დირექცია არა ჰგზავნის და ლექციებზე დასწრება-კი ძლიერ ჰსურს: იმას შეუძლიან თავისის ან სხვისგან ნასესხების ორიოდე გროშით ტფილისში ჩამოვიდეს, სხვა ამხანაგებთან დაბინავდეს და ლექციები მოისმინოს; ამავე დროს გამოეცხადება მზრუნველს და წარუდგენს საბრეშუმო სადგურის მიერ მოცემულსა და დამოწმებულს ქაღალდს, რომელშიაც მოხსენებული იქმნება—ამა-და-ამ სოფლის მასწა-

*) „Мнѣніе, поданное г. Министру государственныхъ имуществъ, о мѣрахъ необходимыхъ для развитія Кавказскаго шелкодства“, Членомъ Совѣта Министра И. П. Архиповымъ. 2) О мѣрахъ, необходимыхъ для развитія Кавказск. шелководства, докладъ А. А. Тихомирова. 3) Проэктъ, представленный Н. Н. Шавровымъ. ავტ.

**) ამავე დროს საბაღოსნო სკოლაში კითხულობენ ლექციებს ბაღოსნობასა და მევენახეობაზედ.

***) ჩვენს გაზეთებში უკვე ცხადდება, როდის იწყება ლექციები.

ბოზენ, სამოც თუმანზედ მეტია. კიდევ კარგი, რომ იმ ღამეს აღმოსავლეთის ღონიერი ქარი არა ჰქროდა, რაც წელს თავს გვაბეზრებს, თორემ, თქვენი მტერია, მთელი სოფელი გადიბუგებოდა...

*** სოფ. ნატოხაო, (სენაკის მაზრა): ვერ წარმოგვიდგენია, რას მივაწეროთ წრევანდელი წელიწადი. ასეთი თბილი და საამო ზამთარი არასოდეს არ ყოფილა. ეხლა ჩვენში ისე თბილა, რომ აპრილის უკანასკნელს რიცხვებს მოაგონებს კაცს. საკვირველი უფრო ის არის, რომ აგერ ზამთარი თავდება და თოვლი თვალით არ გვინახავს. არც ღამით ყინვები არის. ხეები საცაა ამწვანდება, ტყემალი თითქმის გამოკვირტულია.

*** იქიდგანვე: დეკემბრის უკანასკნელს რიცხვებში ამ სოფელში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ამ სოფლის მცხოვრები გვარად თოფურიძე გარდაიცვალა. იმ დღეს გარდაცვალებულის მოყვარე, ახლო მეზობელი მისულა სატირლად, უტირნია და სახლში დაბრუნებულა. მისულა სახლში თუ არა, ეს კაცი უცბად მომკვდარა. ამის სატირლად მეზობლის ქალი მისულა, შუა ეზოში შესულა ქალი თუ არა, ისიც უცბად გაშხლართულა მიწაზედ. მისულან და ქალი მკვდარი დაჰხვედრიათ. ამ სამწუხარო ამბით აქაურები ძალიან დაღონებულები არიან. არ იციან, ამათის ასე უეცრად სიკვდილის მიზეზი რა იყო.

## ფოთის ნავთ სადგურის ნამდვილი მდგომარეობა.

ფოთის ქალაქის მოურავს ბ-ნს ნიკოლაძეს შემდეგი ქაღალდი მოჰსვლია სავაჭრო ნავთ-სადგურების ამგებ კომისიისაგან.

„თქვენის მოწერილობისა გამო, რომელიც 1895 წლის 7 იანვარს № 25-ით არის გამოგზავნილი და ფოთის ნავთ-სადგურის გადაკეთებას შეეხება, —სავაჭრო ნანვთ-სადგურთა ამგებ კომისიას პატივი აქვს გაუწყოთ, რომ აღნიშნული საგანი აქამომდე ვერ იქმნა სასურველად გარდაწყვეტილი, რადგანაც შესაძლებელი არ იყო, ხსენებული, ნავთ სადგურის შესაკეთებლად საჭირო კრედიტი გზათა წუყების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილიყო. ამ ჟამად სავაჭრო ნავთ-სადგურების ამგებ კომისიას ხელთა აქვს განსახილველად ახალი პროექტი, რომელიც წარდგენილია პორტის უფროსისაგან და შეეხება ფოთის პორტის გადაკეთებას. ეს პროექტი შედგენილია თანხმად წინანდელ პროექტისა, რომელიც შემუშავებული იყო ნავთ-სადგურის კომისიის ტეხნიკურს განყოფილებაში. ეს პროექტი ამ მიმდინარე წელში გარდაეცემა გზათა უწყების სამინისტროს საინჟენერო საბჭოს დასაბოლოებელ განსახილველად, და თუ რა შედეგი მოჰყვება ამ განხილვას, კომისია თავისს დროზედ გაუწყებთ, მოწყალეო ხელმწიფევ.

გაუწყებთ-რა ზემო აღნიშნულს ამბავს, კომისია გიგზავნით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ; ორ ეგზემპლიარს ფოთის ნავთ-სადგურის აღწერილობისას თავმჯდომარის მაგიერ: თავმჯდომარის თანაშემწე ინჟენერი ლისოვსკი.

უფროსი ინჟენერი ს. კოზნესენსკი.

## რუსეთის შესანიშნავ მწერალთა აზრი ქალების შესახებ.

—

ამას წინად გამოვიდა ახალი წიგნი ამბობს სუვორინი, რომელსაც სახელად ეწოდება „ძველი და ახალი აზრი ქალების შესახებ“. ავტორი თამამად გამოსთქვამს იმ აზრს, რომ განათლება ქალების საქმე არ არის, იგინი ძველებურად ციხე-დარბაზში უნდა იყვნენ დამწყვდეულნიო. ავტორს მეტის-მეტად ესიამოვნება, როდესაც ქალებზედ ბოროტს ჰლაპარაკობს და ისეთს ამბებს მოგვითხრობს ქალების შესახებ, რომ მართლა შესაზარი იქმნებოდა, ყველა ქალები რომ ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. ხოლო როდესაც მკითხველებმა უსაყვედურეს ბ-ნს „?“ ს, იმან განცვიფრებით უპასუხა, განა მაგისთანები დაუწერიათ გარტმანს, შოპენჰაუერს, სპენსერს, კონტს, პრუდონს, კანტს, მოლიერს, ტერენცის და სხ.?! შემდეგ სუვორინი აღნიშნავს, თუ რა აზრისანი იყვნენ რუსების მწერლები ქალების შესახებ?

„გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი კარგად იცნობდნენ ქალებს. დაგვიხატა-რა პეჩორინის დამოკიდებულება ქალებთან, ლერმონტოვი ყველაზედ სასტიკად მოექცა ქალებს. პირველი სამი მწერალი სცხოვრებდნენ იმ დროს, როდესაც ბალებსა და მასკარადებს პირველი ადგილი ეჭირათ, სცხოვრებდნენ იმ დროს, როდესაც თვით იმპერატორი ნიკოლოოზ I დადიოდა მას კარადებში და ხან ერთს ნილაბ ჩამოფარებულს გაუწვდიდა ხელს, ხან მეორესა.

გოგოლი, რომელმაც მამაკაცის ასეთი შესანიშნავი ტიპები დაგვიხატა, ქალების ცხოვრებას თითქმის არც კი შეხხო; საეჭვოა, რომ დოსტოევსკისაც სცნობოდეს ქალები, თუმცა-კი პუშკინის დღესასწაულზედ ქალები ხელებს უკოცნიდნენ. გონჩაროვი ხომ ყმაწვილობაშიაც არ აქცევდა ყურადღებას და აბა მხცოვანობის დროს ხომ უფრო გულ-ცივი იქმნებოდა. გრიგოროვიჩმა იცოდა ქალების ცხოვრება, მაგრამ ყოველთვის კარგსა ჰლაპარაკობდა მათს შესახებ და მადლობით იხსენიებს იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მას ახსოვდა სიყმაწვილიდგან. ტურგენიევი მთელს თავისს სიცოცხლეში ტყვე იყო ერთის დედაკაცისა და სთხზავდა ამ დედაკაცის წინააღმდეგ ხასიათის ტიპებს. ამასაც უკოცნიდნენ ხელებს და ეუბნებოდნენ: „თან წაგვიყვანეო“.

ახალის მიმართულების რუსი-ქალი მართალია, გაიძახოდა, „თან წამიყვანეთო“, მაგრამ ეს ვნებათა ღელვის ბრალი-კი არ იყო, არამედ იმ სიამოვნებისა, რომელიც მათ მიანიჭეს ხელოვნურ თხზულებათა კითხვაში. სალტიკოვი სრულიად არ იცნობს ქალებს. ოსტროვსკი მარტო ვაჭრის ცოლებს იცნობდა და ისიც გაგონებით. ნეკრასოვს ბანქო უფრო უყვარდა ვიდრე ქალები, რომელნიც ეჯავრებოდნენ და ჰყიდულობდა, როგორც ნივთს. პისემსკი ჰგრძნობდა ნამდვილს სიმართლეს, მაგრამ მასაც პრაქტიკულად არ შეუსწავლია. ლესკოვიც არ იცნობდა ქალებს, მხოლოდ დიდის პატივის-ცემით იხსენიებდა. ეჭვი მაქვსო, ამბობს სუვორინი, რომ ბობორიკინიც იცნობდეს ქალებს. რაც შეეხება ახალგაზდა მწერლებს, არ ვიცი, თუ იმათაც იციან რამეო.

დასასრულ, ბ-ნს სუვორინს მოჰყავს გერმანელ ფილოსოფოსის ნიტშეს აზრი ქალების შესახებ. ნიტშე მქადაგებელია ჰკუისა, ნიჭ სა დ ძალ ს არისტოკრატიზმისა და სძულს ბრბო, ეგრედ წოდებულნი დაჩაგრულნი და შეურაცხყოფილნი.

თავისს უკანასკნელს თხზულებაში „ანტიქრისტე“ იგი მტრად გარდაექცა ქრისტეს მოძღვრებას, რომელიც იწყნარებს მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ. ეს კაცი შესანიშნავი ნიჭიერია და თავისებური აზრიცა აქვს ქალებზედ. იგი ამბობს, რომ კაცთა შორის მეგობრობა მხოლოდ ძველად იყოო. იმ დროს ერთი მეორეს ამოსდგომოდა მხარში და კიდეც ამიტომ ახდენდნენ დიადს საქმეებს. ჩვენს დროს-კი მეგობრობის ადგილი იდეალად გარდაქცეულმა ხორციელმა სიყვარულმა დაიჭირა. გამოჩნდა ქალი თავისის მოთხოვნილებით, რომ მარტო მე გიყვარდეთო და თავისის ვნებათა ღელვით გასწყვიტა კაცთა შორის არსებული თანხმობა, დაამდაბლა ყველა ის, რაც-კი მაღალი და დიდებული იყოო. ამ აზრს გინდ დაეთანხმეთ, გინდა ნუ, მხოლოდ იფიქრეთ-კი, რომ, ვიდრე ქალს არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ, ვიდრე იგი ციხე-დარბაზში იყო გამომწყვდეული, მამა-კაცები დიდს საქმეს აკეთებდნენ, დიდად დააწინაურეს პოლიტიკა, ფილოსოფია, პოეზია, დრამა, ქანდაკება, ხუროთ-მოძღვრება და ამან-კი იმდენი სიკეთე და სამაგალითო საქმეები, იმდენი შესანიშნავი აზრი შესძლვნა კაცობრიობას, რომ ქრისტიანობა, რომელმაც აამაღლა ქალი და დაჰბადა იდეალური სიყვარული, აქამომდე იკვებება ამ ძველებურის სიბრძნით, პოეზიით და ხელოვნებით. კლასიკური წარსული შექმნილია, მამაკაცთაგან, ქალების სიყვარულის დაუხმარებლად, იმ ქალების სიყვარულისა, რომლითაც თავი მოაქვს ჩვენს დროს.

ჩვენი დრო—დრო არის ქალების მუშაობისა და განათლებისა. წინ წარომდგარნი არიან მჩატე ყოფაქცევისა განათლებულნი ქალნი და ეს მეზობლობა სრულიადაც საშიშარი არ არის, რადგანაც მეზობლები ხშირად სულ წინააღმდეგის თვისებისანი არიან. თუმცა დედა-აზრი ორსავე ამ ქალთა გუნდს ერთი და იგივე აქვს: თავისუფლება, შრომის მოყვარეობა და დამოუკიდებლობა. მას შემდეგ, რაც ქალები უფრო და უფრო იძენენ თავისუფლებას, ქვეყანა ღარიბდება ნიჭით და მხოლოდ ზომიერი ელფერი აქვთ მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგთ, რომელშიაც ასე ძლიერად გამოიხატებოდა ადამიანის ნიჭი.

---

ვლუბელი ჩამოვიდა ტფილიში ლექციების მოსასმენადაო. ამის შემდეგ მზრუნველი გაუწევს დახმარებას. წარსულს წელს იმ მასწავლებელთ, რომელნიც ამ ნაირად მოიქცნენ, მიიღეს მზრუნველისაგან იმოდენა შემწეობა, რომ ტფილისშიაც შეეძლოთ ორი თვე ეცხოვრათ—საჭირო საგნებიც ეყიდათ სახლშიაც დაბრუნებულიყვნენ და ვალებიც გაესტუმრებინათ. სამოსწავლო ოლქში ეხლაც ეხმარება მასწავლებელს და ასაჩუქრებს საჭირო მოწყობილებით—მიკროსკოპით, ინკუბატორით, გიგრომეტრით და სხვაფრივადაც, თუ-კი რიგიანად გამოიყენებს მის მიერ შეძენილს ცოდნას. ერთის სიტყვით, მოკლედ რომ ვსთქვათ, სოფლის მასწავლებელს ღონისძიება აქვს გლეხკაცობის ეკონომიური მდგომარეობა წარმატების გზაზედ დააყენოს და სასარგებლო ნიადაგიც მოუმზადოს სოფლის მეურნეთა მრეწველობას. შეუძლიან მეაბრეშუმეებს დაუმზადოს საღი თესლი და ის სამი და ოთხი მანეთი, რომელსაც უცხოელნი ახდეინებენ უვარგის აბრეშუმის თესლს სასყიდლად, თითონვე მოიხმარონ. მას შეუძლიან ამისი ზრუნვით, შრომით და გულ-შემატკივრობით დაიმსახუროს ისეთი ავტორიტეტობა, რომ მისი აზრი და შეხედულება ყოველ სასოფლო საქმეში შეწყნარებული იქმნას. რომ ყველა ზემოხსენებული შესაძლო არის, ჩვენ მივათითებთ ბ. გ. შარაშიძეზედ (ბახვის ს. მასწავლებელია), ბ. ს. ჯორბინაძეზედ (ნიგოითის ს. მასწევლებელი), რომელთაც დაცემული მეაბრეშუმეობა ფეხზე დააყენეს და სოფლებში გაავრცელეს რიგიანი აბრეშუმის მოვლა-გაშენება. იგინი უმზადებენ მეაბრეშუმეებს საღს თესლს, ასწავლიან, როგორ უნდა მოუარონ ჭიას, თვალ-ყურს უგდებენ, არ მოატყუონ პარკის მყიდველებმა ან სხვა ვინმე ვაჭარმა და ამავე დროს შეუძლიანთ მათ მიერ დამზადებულის აბრეშუმიდგან სამას-ოთხასი მანეთი აიღონ. ბახვის საზოგადოების კეთილ-დღეობა მკითხველმა უკვე იცის; ხოლო რაც შეეხება ნიგოითის საზოგადოებას, უნდა მოგახსენოთ, ამ საზოგადოებამ იმდენად შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა, რომ ყოვე ის შეძლებას ჰხმარობს, უკან არ ჩამორჩეს სხვას. წარსულს წელს ამ მცირე საზოგადოებამ (229 კომ.) ძველი სკოლის მაგიერად ორი ახალი სკოლა დაიარსა. ერთი სკოლის მმართველობა მიანდეს ბატონს ჯორბინაძეს, რომელსაც დაუთმეს ერთ-სართულიანი ქვით კირის სახლი, სადაც მოთავსებულია განსაკუთრებით საბრეშუმო ოთახი. სკოლას მისცეს საბაღე და საბოსტნე ალაგი; იქვე—ცოტა მოშორებით თუთის (ბჟოლია), პლანტაციისათვის მიწა და სხვა-და-სხვა. ყველა ეს კეთილი საქმე ბ. ჯორბინაძის თაოსნობას უნდა მივაწეროთ. შეიძლება მკითხველმა იფიქროს ამ საზოგადოების გლეხ-კაცობა განსხვავებულს წრეს შეადგენენ და სრულის თანაგრძნობით ირწმუნებენ იმას, რასაც ბ. ბ. ჯორბინაძე და შარაშიძე ურჩევენო?.. სამწუხაროდ არ შემიძლიან მოგახსენოთ, რა დღე დააყენეს ბ-ნს ჯორბინაძეს მზრუნველებმა ამ ორის წლის წინად, როდესაც ბ-ნმა ჯორბინაძემ პირველად დაუწყო მოწაფეებს აბრეშუმის შემუშავების სწავლება, სახალხო სკოლების ინსპექტორთანაც-კი უჩივლეს, მაგრამ, როდესაც ბ-ნმა ჯორბინაძემ ყველა უსიამოვნება და თავგადასავალი მხნედ იტვირთა და ერთხელ დაწყებული საქმე განაგრძო, გლეხ-კაცობას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა და ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვიდა. რაღა თქმა უნდა, ამ სოფლებში შარაშიძემ და ჯორბინაძემ დაცემულს აბრეშუმეობას ფეხი აადგმევინეს და დიდი წარმატებაც ეტყობა დღეს. ვისურვებთ, რომ ჩვენმა მასწავლებელმა, რომელზედაც სოფლის მუშაკის კეთილ-დღეობაა დამყარებული, უფრო გულ-მოდგინედ მოსჰკიდონ ხელი ამ საქმეს და გაავრცელონ იგი ჩვენს სამშობლოში.

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევ შემდეგს გარამოებას, რომლითაც მომავალში უნდა იხე მძღვალენონ და სიფრთხილით მოიქცნენ აბრეშუმის თესლის მყიდველნი, რადგან გამოცდილებამ ბევრი გვასწავლა უვარგის თესლის შესახებ. ვაფრთხილებ ყველა ჩვენის ქვეყნის მეაბრეშუმეებს, რომ თესლის ყიდვის დროს მოსთხოვონ თესლის გამყიდველს (гренеръ) სააბრეშუმო სადგურისაგან მიცემული მოწმობა, რომელშიაც ნაჩვენები იქნება, თუ რა ღირსებისა არის აბრეშუმის თესლი. ჯერჯერობით მარტო 35 უცხოელმა მეთესლემ წარმოადგინა საბრეშუმო სადგურში გასასინჯავად აბრეშუმის თესლი და ამ ჟამად უკვე გამოკვლეულ იქმნა ამათი თესლი. აღებულ ნიმუშების მიკროსკოპიულად გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პებრინი (სენი) არ არის შემდეგს უცხოელების თესლში: არიტატელი-იავაშ-ოღლი. 2) ალექსანდრე იავაშ-ოღლი. (3 კონსტანტინე-პინაცის 4) სტეფანე-პინაცის. 5) ტიტას-ცალის. 6) ბერანიე. 7) ერემიას-ლუკას. 8) კონტიანტ. 9) დიმიტრი ვასილაკი. 10) აპოსტოლ-მუსელიმ-ოღლი. 11) სენეკე. 12) მურუდ. 13) ბერტეტ. 14) მარინ და ამ მეთესლეე ის—15) პაპიდი. 16) ძმები იავაშ-ოღლი. 17) ფელოსადამ, 18) დემოსფენ პინაცის. 19) არისტოტელ ლასკალიდე. 20) სპირო ბამბას. 21) სპირო-პოპონდოპულო. 22) ოგანიან. 23) ლაპანდჟიან. 24) ვასილაკი-ვლასიადის. 25) კაკუნიდეს. 26) ხრისტოლი აკაკიდე. 27) პერიკლ-სეკიმ ოღლი. 28) ფილოკიდ. 29) ხარლამბი-ვორიდეს და 30) ოდაპარიან თესლი-კი სნეულთა პებრინით. კიდევ დიდი სიფრთხილე გვმართებს იმისდა-მიუხედავად, რომ წელს უცხოეთიდგან მოტანილი ის აუარებელი თესლი, რომელიც სპარსეთს უნდა წაღებულიყო, ადვილად შესაძლებელია, ჩვენს მხარეში დარჩეს იმიტომ, რომ ამ ჟამად სპარსეთის მთავრობამ დიდი ბაჟი დაადო უცხოეთიდგან შემოტანილს თესლს.

ი. ქუთათელაძე.

—

P. S. ვსთხოვ ყველა სოფლის მასწავლებელს, ხელი შეუწყონ იმათ, ვისაც ჰსურდეს ტფილისის საბრეშუმო სადგურის დამზადებულ თესლის შეძენა, აღნიშნონ მათი სახელი და გვარი და ეს სია და ფული (მისხალი 60 კ. ღირს) გამოჰგზავნონ მალე, რადგან თესლის გასყიდვა უკვე დაიწყო და შესაძლოა ძლიერ მალე სულ ერთიანად გაიყიდოს. ****) ადრესი. Тифлисъ, Кавказская шелководственная станція, ი. ქუთათელაძეს.

****) სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ უკვე გამოიწერა სადგურიდგან სამხრეთ-რუსეთისათვის 2,000 მისხალი თესლი. ი. ქ.

უბრალო შემთხვევაა, თუ აუცილებელი შედეგი არსებულის ჰარმონიისა დაირღვევა, ეს დაჭეშმარიტებით ვერ ითქმის ის-კი ნამდვილია, რომ, როგორც ჩვენში ისე ევროპაში ძლიერი ნიჭი აღარ მოიპოვებაო“.

## გაურკვეველი გარემოება *).

ძალიან ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვი, ვაგლახე, მაგრამ არ იქნა ვერ გავიგე შემდეგი გარემოება: როგორც ქართველი კაცი, მოყვარული ქართულის ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და სცენისა, მე თითქმის ყოველს ქართულს წარმოდგენას ვესწრები, ვუკვირდები და ვაფასებ... ყოველი წარმოდგენა მოახდენს ხოლმე ჩემზედ როგორსამე შთაბეჭდილებას და მასაც ვხედავ, რომ ამგვარისავე შთაბეჭდილებით გადის სათეატრო დარბაზიდგან უმრავლესობა... მეორე, თუ მესამე დღეს-კი ვხედავ გაზეთები სწორედ იმ პიესას არჩევენ, რომელიც მე ვნახე, იმ პირთა თამაშს აფასებენ, რომელთაც მე ვუყურებდი; იმ გარემოებაზედ ლაპარაკობენ, რომელმაც ჩემზედ მოახდინა დაახლოებით უტყუარი შთაბეჭდილება,—და იქ-კი სულ სხვას ვკითხულობ! უფრო ხშირად კითხულობ მსახიობთ, ქება-დიდებას აღტაცებას, რომლითაც მათ საზოგადოება შევგებებია(?!) და სხვ...ჰკითხულობ და შიკვირს: სად ვიყავი? როგორ მოხდა ეს? ნუ თუ მე სხვა წარმოდგენას დავესწარ? ნუ თუ მეძინა? სხვებს რაღა დაემართათ? და სხ...

გამიგონია, რომ რეცენზია, რომელიც ამა თუ იმ პიესას არჩევს, ამა თუ იმ მსახიობის ნიჭსა და თამაშს აფასებს, უნდა იყოს უტყუარი, გულწრფელი და მოურიდებელი; რომ მხოლოდ ასეთს რეცენზიას აქვს აღმზრდელი მნიშვნელობა, მხოლოდ ამგვარი რეცენზია, ვით ნამდვილი კრიტიკა, უნდა ჰპოულობდეს ადგილს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ და არა ისეთი, როგორც დღეს არის... დიპლომატურად, პირფეროებით დაწერილი რეცენზია, არა თუ ხელობას ვერ მოუტანს რაიმე სარგებლობას და ვერ გაუწევს სამსახურს მას, არამედ თვით მსახიობთა ზიანისა გარდა, სხვას ვერას შესძენს.

რა უშლის ხელს, რა აბრკოლებს ნამდვილს რეცენზიას—ჩემთვის სრულიად გაუგებარია!... შეიძლება რედაქცია არ აძლევს ნებას ბ.ბ. რეცენზენტებს, თავ სუფლად გამოსთქვან თავიანთი აზრი და ყოველს მსახიობს შესაფერად დასდონ ფასი; მით უმეტესად საფიქრებელია ეს, რომ, როგორც გავიგეთ, უკანასკნელის ქართულის წარმოდგენის გამო (მამულ-დედული— ზუდერმანისა) სამი რეცენზია წარუდგენიათ ერთის რედაქციისათვის და ვერც ერთმა ადგილი ვერ მოიპოვა თურმე გაზეთის ფურცლებზედ!..

მე დარწმუნებული ვარ, თუ რედაქციები რეცენზენტებს თავისუფლად აზრის გამოთქმის ნებას მისცემენ, — გამოჩნდებიან ისეთი დამფასებელნი ხელოვნებისა, რომელთაც ამ მოვალეობის აღსრულებაც კარგად შეეძლებათ და ჭეშმარიტების გზასაც არ გარდუხვევენ...

დარწმუნებული ვარ, რედაქცია ამა ყოველის შესახებ დამეთანხმება, მაგრამ, არ იქნება ურიგო, ამ გარემოებას ცოტაოდენი სხივი და ნათელი თვით მსახიობთა მოჰფინონ...

შეიძლება ეს ამბავი იმის შედეგი იყოს, რომ პროვინციელ ქალაქებში ყველა ერთი მეორეს ვიცნობთ, ვმეგობრობთ და პატივსა ვსცემთ; რომ მართლის თქმა უსიამოვნო დამოუკიდებლობას გამოიწვევს და სხვ... მაგრამ ჩემის აზრით — დამიანი, რომელიც ჰკისრულობს მოვალეობას მსაჯულისას და რომელსაც შეგნებული აქვს ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა კრიტიკისა, ამ მოსაზრებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს და სიმართლეს გვერდს არ უნდა უხვევდეს...

თეატრის მოყვარული

*) რედაქცია სრული თანახმა არის ამ წერილში გამოთქმულის აზრისა და სიამოვნებით უთმობს ადგილს მას თავისს გაზეთში. რედ.

## პაპი და სოციალისტები.

საფრანგეთის დეპუტატმა ვინ დ' არტონ ა, რომელიც სოციალისტთა დასს ეკუთვნის, გამოითხოვა პაპი ლეონ XIII-ისაგან აუდიენცია და დაწვრილებით დაჰბეჭდა შინაარსი იმ საუბარისა, რომელიც მასთან ჰქონია. საუბარი ჯერ იტალიის უნივერსიტეტების შესახებ თურმე ჰქონდათ, რომლის შესასწავლადაც ვინ დ' არტონი მოგზაურობს იტალიაში და მერე ბრიუნეტერის ცნობილს წერილზედ თურმე დაიწყეს ლაპარაკი. ეს წერილი ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა „Revue des deux Mondes“-ში შემდეგის სათაურით: „La banqueroute de la science“.

ვინი. სამართლით გადმოგვცა ბრიუნეტერმა თქვენი მასთან საუბარი, რომელშიაც იგი ამბობს, ვითომ თქვენ გეთქვათ, მეცნიერება გაღარიბდაო.

ლეონ XIII. როგორც შევიტყე, ჩემის სიტყვებიდგან ბრიუნეტერს ბევრი კარგი დასკვნა გამოუყვანია, მაგრამ, მე არ ვგონებ, სიტყვა „მეცნიერება გაღარიბდა“ ისეთის აზრით წარმომეთქვას, როგორც ჰფიქრობენ. მე მსურდა მეთქვა, რომ სწავლულთა მეცადინეობა, ქვეყნიერობის წარმომდინარეობა საბუნების-მეტყველო მეცნიერებიდგან ყოფილიყო დამტკიცებული, ფუჭი გამოდგა და სარწმუნოების ადგილს მეცნიერება ვერ დაიჭერს-მეთქი. მე მსურდა მეთქვა, რომ სარწმუნოებასა და მეცნიერების შორის არავითარი უბსკრული არ არსებობს, და რომ მათ შეუძლიანთ მხარი მხარს მისცენ, რომ მეცნიერების გამოკვლევა და განათლებისა და სწავლის პროგრესი მხოლოდ სარწმუნოების დიდებას უნდა ემსახურებოდეს Enarrant Dei gloriam coeli et terrae. მეცნიერება უნდა ღმერთს ემსახურებოდეს და ამითი იგი არც თუ რითმე დააბრკოლებს თვისს დ მოუკიდებლობასა და ღირსებას. დიდი უსამართლობა იქნებოდა, ვამტკიცებდეთ, რომ კაცობრიობის კეთილდღეობის ფაქტორები ამ დღით გონების ქარხანიდგან არ უნდა გამოდიოდეო და იმ საზოგადო ცხოვრებაში შეტანილ ბედნიერ ცვლილებას-კი ყურადღება არ მივაქციოთ, რომლითაც დაგვავალა ქადაგებამ; ჩვენ ღვთის მსახურნი და თქვენ მორწმუნე ქრისტიანენი, ორივენი მოვალენი ვართ ეს სიკეთე უბედურთა შორის გავავრცელოთ, რომ მან ღრმად ფესვი გაიდგას ტანჯულს ერში

ვინი. მაგრამ, მამაო წმიდავ, ეს ხომ სოციალიზმის რწმენაა.

ლეონ XIII. დიაღ, ეს არის სოციალიზმის ერთ ერთი მხარე

ვინი. გავბედავ და გკითხავთ, რა აზრისა ბრძანდებით ევროპასა და უფრო საფრანგეთში სოციალიზმის ნაყოფის შესახებ.

ლეონ XIII. თუ რომ სოციალიზმის ქვეშ იმას იგულისხმებთ, რომ დაჩაგრულთა, უბედურთა ბედი გააუმჯობესოთ სხვა და სხვა გონივრულისა და რაციონალურის საშუალებით, რომ მეტი სამართლიანობა ჩამოაგდოთ დღევანდელს საზოგადო ცხოვრებაში, რასაკვირველია, მაშინ ეს აზრი ყოვლად კეთილშობილური და ჩინებულია. ესევეა ქრისტიანობის აზრი.

ვინი. იმ პოლიტიკურ დასების შესახებ რაღა აზრისა ბრძანდებით, რომლებიც დღეს „სოციალისტთა“ სახელით არიან ცნობილნი ევროპაში.

ლეონ XIII. ჩემის აზრით იმათი მისწრაფება უნაყოფოდ დარჩება, თუ რომ სარწმუნოებაზედ არ დაამყარებენ თვისს სწავლასა, და მალეც დაუძლურდებიან. საფრანგეთსა და გერმანიაში ამ დასების ოპოზიცია მთავრობისადმი თანდათან საშიშს ხასიათს ღებულობს. გიმეორებთ, ყველა ეს ფუჭია, რადგანაც იგი სარწმუნოებას უარს-ჰყოფს. რაც შეეხება რესპუბლიკურს ფორმას მართველობისას, იგი არ არის წინააღმდეგი და შეიძლება მიღებულ-იქმნას, თუმცა ამაშიაც მოიპოვება ზოგიერთი ცთომილება და უსამართლობა, მაინც, მიუხედავად ამისა, მე მიყვარს თქვენი რესპუბლიკა და უფრო მეტად, ვიდრე თქვენ გგონიათ.

დასასრულ, პაპმა კიდევ ისურვა, რომ რესპუბლიკა სარწმუნოების გზას დაუბრუნდეს და განუმეორა, რომ ასეთი მისწრაფება უნაყოფოაო.

### პეტერბურგის ბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 740 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის . . . . | | | |
| ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — ,, | 203 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101 1/4 | — ,, | — . |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99 | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა . | 98 1/2 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | -- ,, | — ,, |

# განცხადებანი


ფრანგულის ენის კარგად მცოდნე ქართველი ყმაწვილი კაცი ამზადებს მსურველთ. ადრესი „ივერიის“ რედაქციაში: (4—6.—4)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და ადანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის საჯგომში. (100—721—8)

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება

„როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემებას ნავთ სადგურებზედ. 50—6—7


Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.